

579 /
1958/3



ღელა რედაქცია, ტერეშვილი ქუჩა, თბილისი. იუნიონ-პრესი, და მჭე, ქართული სწავლითა სამსახური კავშირები

№ 10 საბარათებისა და ცენტრალური კომიტეტისა და 3 ი. ლენინის სახელობის შირა პრინციპალური ორგანიზაციის სასაზღვრო საბარათი **ქართული** 1958



სუთგზის ორენოსანი

ზნან ბიხაძე

პიკველი ჯიღო

სახელოვან ლენინურ კომკავშირს ორმოცი წელი შეესრულდა. კომკავშირი იმ დროს დაიბადა, როცა ჩვენი ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანა თავგანწირვით ებრძოდა მტრებს. მტერი კი მრავალი ჰყავდა— შინაური და გარეშე: მდიდრები, შვეფის მოხელეები თუ უცხოელი დამპყრობლები. მათ უველან სურდა აღედგინათ თავიანთი ბატონობა რუსეთში.

მაგრამ შრომელი ხალხი მტყიცედ იცავდა საბჭოთა რესპუბლიკას. მებრძოლთა პირველ რიგებში ჩადგნენ ახალგაზრდები, რომ მამაცურად დაეცვათ ღლი ოქტომბრის მონამოვარი. ოცდახუთი ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი გაეშურა საბრძოლველად; ხშირად ფრონტზე მთელი კომკავშირული ორგანიზაცია მიდიოდა. კომკავშირის კომიტეტის კარი ფიცრებით იყო აველილი და ზედ ეწერა: "არაკომი და კეტლია, უველა ფრონტზე წავიდა".

სამოქალაქო ომში საბრძოლო დასახურებისათვის კომკავშირი 1928 წელს დაჯილდოებულ იქნა წითელი ღრმის ორდენით.

შკოთის ჯიღო

მში შეწყდა თუ არა, საბჭოთა ადამიანები შეუდგნენ დაგრეული ქვეყნის აწეებას. ეს ძალიან ძნელი და რთული საქმე იყო. უნდა აღედგინათ ომით გაპარტახებული სოფლები და ქალაქები. ახალგაზრდები მზობლებს ვეწოდში ამოუდგნენ და გულოდგინდ აწეებდნენ ელექტროსადგურებს, ფაბრიკა-ქარხნებს,



ნახატები ბ. კონიხიძისა

სკოლებს. უდაბნოში გაჰყავდათ რკინიგზები, შახტებიდან განუწყვეტილად ამოჰქონდათ ქვანახშირი. მრავალი ათასი ახალგაზრდა გაეშურა ზე-ტყის დასახლებულად.

ჩვენმა კომკავშირულმა ახალგაზრდებმა ღირსეულად შეასრულა საშობლოს ეს დავალება და თავისი შრომით ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნის აუჯუვებას. ამიტომ ის 1931 წელს შრომის წითელი ღრმის ორდენით დააჯილდოვეს.

ოქროს პიკსკაპიანები

ჩვენს დიად საშობლოს 1941 წელს თავს დაესხა ფაშისტური გერმანია. მთელი ხალხი აღსდგა შრომით მოპოვებული კეთილდღეობის დასაცავად.

ამ ბრძოლებშიც გამოიჩინეს თავი კომკავშირლებმა. ისინი კომუნისტების მხარდამხარ ვაჯკაურად ებრძოდნენ შემოსეულ მტერს და ამარცხებდნენ.

ვის არ გაუგონია ჩვენი მამაკი კომკავშირლების ზოია კოსმოდევიანასია, ოლეგ კოშვიკის, ალექსანდრე მატროსოვის, შოთა გამკელშიდის, ზოია რუხაძის და სხვა გმირი ახალგაზრდების შესახებ? მათ თავიანთი საარაკო გმირობით შეიღეს ქვეყანაზე ვითიქვეს სახელი.

შოთა გამკელშიდე თბილისელი ჭაბუკი იყო. იგი მოხალისედ წავედა სამამულო ომში. ერთ-ერთ ბრძოლაში მტერმა ტანკები გამოაუშვა და ჩვენი ჯარის იერიში შეიწირა. ამ დროს შოთა დაიჭრა, მაგრამ გულადი მებრძოლი არ დაბნეულა; მან სწრაფად მოიმარჯვა ხელუშმბარების კონა, მკერდზე მიიკრა იგი და იერიშზე გადმოსულ ტანკს ქვეშ შეუჯარდა. ქართული ჭაბუკის თავგანწირვამ გზა გაუხსნა შობა-



7582





ლიური ჯარის შემტევ ნაწილებს, რომლებმაც განაგრძეს წინსვლა მტრის გასანადგურებლად.

ასეთი მაგალითები უამრავი იყო.

ქართველმა გოგონამ ზოია რუხაძემ გმირულად შესწირა სიცოცხლე სამშობლოს. იგი მამაკურად იბრძოდა ყირიმელ პარტიზანთა რაზმში. მამაცი და ღირსეული ახალგაზრდების აღზრდისათვის კომკავშირმა 1945 წელს უმაღლესი ჯილდო ლენინის ორდენი მიიღო.

მეოთხა და მეხუთა ჯილდო

საბრძოლო ჯილდოებს შრომითი ჯილდოები შემტეხს ჰაბუტებმა და ქალიშვილებმა. ისინი კვლავ ყველგან მოწინავეთა რიგებში არიან.

1948 წლის ოქტომბერში საბჭოთა ხალხმა ლენინური კომკავშირის სახელოვანი ოცდაათი წლისთავი იზეიმა და კომკავშირი ლენინის ორდენით დააჯილდოვა. ეს მეოთხე ჯილდო იყო.

ჩვენი ახალგაზრდობა თავისი ქვეყნის უსაზღვრო ერთგულია. ის უშიშარია და მამაცი, სიძნელეებს არ უშინდება, შრომას და ცოდნას არ ზოგავს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

თქვენ ალბათ, გაგიგონიათ სიტყვა ყამირი. ასეულ კილომეტრებზე გადაჭიმული ველები გამოუყენებელი იყო ყაზახეთსა და ციმბირში. ამ ვრცელ მიდამოს არ შეხებოდა სახსნისი.

და აი, ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის მოწოდებით ახალგაზრდობა დაიძრა ყამირისაკენ. ძნელ პირობებში ააშენეს დაბები, ქალაქები. მოიყვანეს პურის უხვი, ზღაპრული მოსავალი. ყამირზე ცხოვრება დამკვიდრდა. ძნელი, ძალიან ძნე-





ლი იყო ყამირის დამორჩილება. ბევრი დაბრკოლება გადაიტანეს ახალგაზრდებმა, მაგრამ კომკავშირლები არასოდეს იხევენ უკან!

სოციალისტურ მშენებლობაში დიდი დამსახურებისათვის, ყამირი მიწების დამორჩილებაში გაწეულ შრომითი გმირობისათვის კომკავშირმა 1956 წელს მეხუთე ჯილდო—ლენინის ორდენი მიიღო.

ახლა კომკავშირი ხუთგზის ორდენოსანია. საბჭოთა ახალგაზრდები ღირსეულად ეგვებებიან თავიანთ დღესასწაულს—სახელოვან ორმოცი წლისთავს.

კომკავშირლების უმცროსი ძმები და დები — ბიონერები და ოქტომბრელები სიხარულით აღნიშნავენ ამ დღეს, აწყობენ საზეიმო შეკრებებს, შეხვედრებს და ანთებენ კოცონს.

გავა დრო, თქვენც წამოიზრდებით და საზეიმოდ ჩაიბარებთ კომკავშირულ ბილეთს, რომლის ყდას მშრომელი ხალხის დიდი ბელადის ლენინის სურათი ამშვენებს.



გუარდიალის

სარეპარი



მობარ ჩაჩელაშვილი
საბჭოთა კავშირის გმირი

ნახატები ლ. ნოღიასი

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ქუთაისის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლე ვიყავი. მამამ მოტოციკლი მიყიდა. მეც ყველგან დავაქროლებდი.

ერთხელ ხალხში ხმა გავარდა: პირველ მაისს დემონსტრაციის შემდეგ აეროდრომზე საავიაციო პარადი მოეწყობა, მსურველებს თვითმფრინავში ჩასვამენ და ჰაერში გაასერიანებენო.

მაშინვე აეროდრომისაკენ გავეშურე ჩემი მოტოციკლით. იქ უკვე ზღვა ხალხი შეკრებილიყო. მე თვითმფრინავში ჩაჯდომამ ძალიან მინდოდა, თან ვმორცხვობდი, საბედნიეროდ, მფრინავმა თვითონვე შემამჩნია და მითხრა:

— ბიჭო, მე დავინახე, რომ მოტოციკლი მარჯვედ დაგყავს; გინდა, თვითმფრინავის წაუვანაც ისწავლო?

— მინდა, ძია, ძალიან მინდა!—წამოვიძახე გახარებულმა.

— მაშ, წამოდი. ჩაესხდეთ!
ის მფრინავის კაბინაში ჩაჯდა, მე კი

გვერდით, მეზობელ კაბინაში მომათავსა. გაისმა გუგუნე; ჩვენი თვითმფრინავი მსუბუქად გასრიალდა საფრენ ბილიკზე და ჰაერში აიჭრა. აი, ქვემოთ გამოჩნდა აეროდრომი, გამოჩნდა მთელი ქალაქი, სოფლები, ქალები, მდინარეები, ტყეები... ოჰ, რა ბედნიერი ვიყავი!..

იმ დღის შემდეგ გადავწყვიტე მფრინავი გამოვსულიყავი. მამამ მითხრა: ჯერ პატარა ხარ, დაუცადე, გაიზრდები და მერე ავსრულებ შენს სურვილსაო. მე კი დღე და დამე მხოლოდ თვითმფრინავებსა და პარაშუტეტზე ვოცნებობდი.

ვცადე კიდევ თვითონ შემესწავლა პარაშუტით ხტომა. ბებიას მოვპარე ძველი ქოლგა, ზედ გადავაკარი ცისფერი ქსოვილი, ფიჩები და ფერადი ნაჭრები. ამ „პარაშუტთანად“ ავძვეერი ჩვენი ერთსართულიანი სახლის სახურავზე, ქოლგა გავშალე და გადავხტი. დარწმუნებული ვიყავი, ნამდვილი პარაშუტისტი ვარ-მეთქი. მაგრამ ქოლ-

გამ მიმტკუნა, ჰაერშივე დაიფუშა და მიწას დავენარცხე. ხელ-ფეხი ვიტკინე, ლოყა დამისივდა. ბებიას ძალიან ეწყინა ქოლგის დამტკრევა!

მივხვდი, რომ სწორად არ მოვიქმეცი. მფრინავი რომ გავმხდარიყავი, საჭირო იყო გულმოდგინე შრომა და ბეჯითი სწავლა.

მალე კომკავშირშიც მიმიღეს; მეცხრე კლასში რომ გადავედი, თბილისის საავიაციო კლუბში დავიწეე სწავლა. შემდეგ სამხედრო საავიაციო სასწავლებელი დავა-

შთავრე და ოცნება ამისრულდა — ნამდვილი მფრინავი გავხდი.

დიდი სამაშულო ომის დროს სხვა კომკავშირელ მფრინავეებთან ერთად მეც გამაგზავნეს ყირიმის ფრონტის ერთ-ერთ საავიაციო ნაწილის მფრინავად.

იმ დღიდან ომის დამთავრებამდე სულ ფრონტზე ვიყავი. უფროსი თანამებრძოლების დახმარებით მალე დავხელოვნდი ბრძოლაში, ჩემი საბრძოლო მანქანით მშობლებს ვაფრინდი მტრის ზურგში და დიდი ზიანიც მივაყენეთ. მთავრობამ საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მომანიჭა.

აი, ასე გავხდი ნამ-

დვილი მფრინავი.

ახლა კი მინდა მოგითხროთ ერთი პატარა ამბავი ფრონტული ცხოვრებიდან:

ჩვენი ფრონტისპირა აეროდრომის მახლობლად დაბურული ტყე იყო. ერთ დღეს ამ ტყეში მფრინავეებმა დათვის ბელი ვიპოვეთ. ლამაზი იყო პატარა დათუნია — ჩამრგვალებული, ფაფუკბეწვიანი, მხია — რულ თვალებიანი.





ერთხელ ჩვენმა თანატოლებმა მებრძოლმა ოლევ რიჟკინმა მიიხრა:

— რატომ უნდა დავწყვიტოთ გული დათუნისას, რაკი მეგობარია, ჩვენთან ერთად უნდა იბრძოდეს. მოდი, თვითმფრინავში ჩავსვით!

მალე შეგვეჩვია და დაგვიმეგობრდა. ჩვენც ძალიან შეგვიყვარდა. თავისუფალ დროს ბელთან ვატარებდით: ვთამაშობდით, ნიორ-ნიორ სასუსნავს ვაძლევდით და ვანებიერებდით. ორ ფეხზე სიარულიც ვასწავლეთ.

ასეც მოვიქეცი. დათუნისა კაბინა ძალიან მოეწონა, გამზიარულდა, მინას დრუნჩით მიეყრდნო და მიდამოს დაუწყაო თვა-



ლიერება. როცა ავფრინდით, კაბინის სარკმელი ცოტაზე გამოვალე. დათუნისა გაუხარდა და სასწრაფოდ თათი გარეთ გაჰყო. თვითმფრინავი დიდი სისწრაფით მიჰქროდა და ჰაერის ნაკადმა ბელს თათი ატკინა. უნდა გენახათ, როგორ აღრიალდა ჩვენი მეგობარი. ძირს დაშვებამდე ბურღლუნი არ შეუწყვეტია.

საბრძოლო ვაფრენის წინ ავტომანქანით აეროდრომზე რომ მივემგზავრებოდით ხოლმე, დათუნაც ჩვენთან იჯდა. დაშორებისას გულდაწყვეტილი ბურღლუნებდა.

დათუნია მინც კმაყოფილი დარჩა ჰაერში გასეირნებით. ჩვენც ამის შემდეგ თითქ-

მის უოველი გაფრენისას თან გავიყოლებ-
დით ხოლმე და ხუმრობით „ბურღლუნა
მფრინავს“ ვეძახდით.

იყო, მასში ნადირის თვისებები იღვიძებდა.
ჩვენც ავიღეთ და ჯაპვით დავაბით. მაგ-
რამ მალე აიწვიტა და სადღაც გაქრა. ვი-
დაცას დაენახა, რომ ტყისაკენ მიდიოდა და
მიბურღლუნებდა თურმე. დავლონდით, ვე-
ძებეთ, ვეძებეთ და ვერსად მივაცვლიეთ.

ეტყობა, დათუნისასც მოვენატრეთ, და
ერთ დილას ისევ გამოჩნდა ჩვენს ბანაკში.
მაგრამ ტყეში სულ გაველურებულყო და
ახლა უფრო გაანებოდა ხალხს დასატორა-
ვად. მეტი რა გზა გვქონდა, ავიღეთ და
ჩვენი აეროდრომის მახლობლად მდებარე
სოფელში მოსწავლეებს ვაჩუქეთ. დათუნისამ
ერთ დღეს იცადა სკოლის ეზოში, მეორე
დღეს... ბოლოს ჯაპვი აიწვიტა, გამოიპარა
და დილით აეროდრომისაკენ მიმავლებს
უკვე ავტომანქანაში მოკალათებული და-
გვიხვდა. შემოგვეყურებდა, ბურღლუნებდა,
თითქოს გვეუბნებოდა: რალას უცდით, და-
სხედით მანქანაზე, ერთად გვემგზავროთ,
თორემ უთქვენობა მომწყინდაო!

ბევრი ვიცინეთ, მაგრამ დათუნის და-
ტოვება ჩვენთან მინც აღარ შეიძლებოდა.
ვიფიქრეთ, ვიფიქრეთ და ასე ვადავწყვი-
ტეთ: იმ დღეებში ერთ-ერთი ჩვენი თვით-
მფრინავი მოსკოვში მიდიოდა. გავაკეთეთ
პატარა გალია, ჩავსვით შიგ ჩვენი საყვარ-
ელი დათუნა და გავამგზავრეთ მოსკოვი-
საკენ.


გალიაზე გავაკარით წარწერა: „მოსკო-
ვის ზოოპარკს საჩუქრად გვარდიელი მფრი-
ნავებისაგან“.



დათუნია მალე გაიზარდა, ტანი აიყარა
და ხასიათიც შეიცვალა.

ერთ დღეს სოფელელ ქალს სათლით
წყალი რომ მიჰქონდა, გაგულისებული მი-
ვარდა, წყალი დაუქცია, ტანისამოსი შემოა-
ხია და წააქცია. ძლივს მოვაშორეთ იქაუ-
რობას.

მეორედ ჯარისკაცს ეცა და კბენა დაუ-
პირა. ის უკვე პატარა ცელქი ბელი აღარ



პირველი ნათურები

რ. პარკინა

ნახატები მ. ჟოსინივილიისა

ძველმა კომუნისტმა, ზაჰსის მშენებლობის მონაწილემ ილარიან კოხონელიძემ აი, რა მიაპბო:

1927 წელი იყო. ჯერ არც ერთ სოფელს არ ჰქონდა ელექტროსუქი. ჩვენ ზემოავჭალის პირდოვლექტროსადგურის მშენებლობაზე ვმუშაობდით. ის იყო, მტკვარი ფაციანთ ხევში საგანგებოდ გაჭრილ არხში გადავადეთ, ზაჰსის პირველმა კაშხალმა პირველი გენერატორი აამუშავა და ელექტროდენი მივიღეთ.

ჯერ სოფელ ავქალაში ავედით, რომ ზაჰსის დენის პირველი სინათლით იქაურთა ბინები გავვენათებინა.

შუაღლე გადასული იყო, როცა ჩვენი ბრიგადა სოფლის ორღობეს შეუყუა. ამ ბრიგადაში ჩემს მეტი ყველა ახალგაზრდა კომკავშირელი იყო. მხარზე თეთრი კრიალა მავთულის რგოლები გვექონდა ჩამოცმული, ხელში ხელსაწყო - იარაღებით სავსე ჩანთები გვეჭირა. თან შეფუთული ნათურები ფრთხილად მიგვექონდა მუყაოს ყუთებით.

ჩვენი სტუმრობა ყველა ოჯახს

უხაროდა, განცვიფრებულები შემოგვეყურებდნენ ხელებში. აკაშაშდებოდა თუ არა ნათურა, მარჯვენას გვილოცავდნენ.

— მოდიან, ახლა ჩვენსკენ მოდიან—მოგვერა თუ არა თვალი, მოსწყდა ადგილს პატარა ბიჭი და ალვის ხეებით შემოლობილ ეზოში შევარდა. ლობეს მისი უმცროსი დაძმებიც მოადგნენ და გაკვირვებულები შემოგვექეროდნენ.

— მასინძელო, შეიძლება?—დაიძახა ჭიშკართან ჩვენი ბრიგადის წევრმა ლადო ტატუაშვილმა.

— მამა სამუშაოდ არის, დედა ბებოსთან წავიდა სოფელში, — წარბებქვეშ გამოგვხედა ბიჭმა, მაგრამ ჭიშკარი მაინც გავვილო.

— აბა, ზაქრო, კიბე გამოიტანე!

— შენ, ლავრენტი, ქერი გაზომე!

— ახლა ნათურა მოარგეთ! — გაისმოდა ოთახში ჩვენი ხმა და ცეცხლივით ტრიალებდნენ ახალგაზრდები, რამდენიმე წუთში გვეჭიმეთ მავთული და სამი ნათურა დაედგით. საქმეს რომ მოვრჩით, სინათლე ავანთეთ. განათდა იქაურობა.



— როცა დალამდება, მაშინ ანთეთ, —
დაფუბარეთ ბავშვებს და სინათლე ჩა-
ვაქრეთ.

ჭიშკარში გასვლაც ვერ მოვასწარი,
რომ ის ბიჭი წამოგვეწია და შეგვეხვეწა:

— ძია, გვაჩვენე რა, როგორ უნდა
შუქის ანთება!

ლადო სწრაფად შეტრიალდა და ბი-
ჭუნას გაჰყვა. კედელზე შავი ღილაკი
მოძებნა, მარჯვნივ გადაატრიალა და
შუქი აანთო.

— ახლა ხომ იცი, როგორ ინთე-
ბა? — ჰკითხა ლადომ ბავშვს. ბიჭუნამ
სკამი მიიღვა, ღილაკს ახლოს შეხედა
და თავი დაუქნია, — უკვე ვიციო.

ლადო მალე წამოგვეწია და გზა გან-
ვავრძეთ.

იმ დღეს ძლიერ ბევრი საქმე გვა-
კეთეთ, ორმოცზე მეტ კომლს გავუნა-
თეთ სახლ-კარი.

დალამებისას უკან დავბრუნდით.
გვიხაროდა, რომ ყველა სახლის ფანჯა-
რაში კაშკაშებდა ელექტრონი. ალვის-
ხეებიან ეზოს რომ ჩამოვუარეთ, წუთით
შევიჩერდით. ღობის იქით, პატარა ფანჯ-
რებში ხან გაივლევბდა სინათლე, ხან
ჩაქრებოდა.

ჩვენ გაკვირვებული ვუცქეროდით,
ლადოს კი უღვავებში გაელიმა და ეზო-
ში ხმამაღლა შესძახა:

— ხელი უშვით, არ გააფუქოთ, თო-
რემ მე ვიცი...

დიდი კომში

ლილი სინაპლიძე

დიდი, დიდი კომში მაქვს!..

რა გქნა, ვერ მოვკბიჩე!

პირს ვერ ვაწვდენ, ამიტომ

შველა ვთხოვე ბიჭებს.

მპირდებიან შველას:

კომში უნდა ყველას!

მოგროვდნენ, და გურამი

ამბობს: „მე მოვკბიჩო!“

და კბილები ჩემს დიდ კომშს

მოსდო როგორც ეჩო.

მოკბიჩა და ვხედავ: ჭამს!

ჩვენ კი არ გვაჭამა!

გამოვტაცე კომში და

ფთქი: უყურეთ ამას!

დანა ჰქონდა კოტკოსს,


კომში დაჭრა წვრილად;

თუმცა ბევრნი ვიყავით,

ყველას გვინაწილა!

სახლიდან ჩქამი არ ისმოდა. შუქი
აინთო და აღარც ჩამქრალა.

ჩვენ გზა განვავრძეთ.



მპა-მპა

«მპა-მპა» პაწაწინა ნუნეს სახელია. გაციკირდებით და იტყვით: თუ ნუნე ჰქვია, «მპა-მპა» — რა შუაშიაო! მომოსმინეთ და მაგასაც გაიგებთ.

ერთზედ სოლოკო ზალიკოს უთხრა: — იცო, ჩემი ბიძა დავითი ეჭიბია. ისეთი წამალი გამოიგონა, ისეთი, რომ ჰრილობას ერთ ღღეში შეაბორცებს.

— შენი ბიძა ჩვენს ფარნაოზთან მაინც ვერ მოვა, — თქვა ზალიკომ [ფარნაოზი მათი სოფლის ეჭიბი იყო]. — მე რომ ფეხი გადამეყვლითა, ხომ გაბასოეს?

— მახსოვს!
— პოდა, მისმა წამალმა შუადღემდე მომიჩრინა.

— დავით ბიძის კი მაინც ვერ შეედრება! — ჯუტობდა სოლოკი.

— ტყუილად ჩხუბობო! — ზარია ნუნე, — შენს დავით ბიძისავე და ფარნაოზსაც ჩემი პაპა ყარამანი სჯობის, მამა! იმან ისეთი წამალი იცის, რომ გაკურნოს და გადაყვედუფილს კი არა. დავეყილს და ჩაით დათუქულსაც მანამდე არჩენს.

— ვითომ რა არის ასეთი უუბარი წამალი? — დაინტერესდნენ მოდავეები.

— რა არის და მპა-მპა!.. რაცა მე რამეს ვიტყენ, ბაბუა დამიძახებს: მოდი, მპა-მპა გუყო, ნატყენზე მაკოცებს და მანამდე მიჩრტება!

— პოდა, იმ დღიდან ნუნესაც «მპა-მპა» შეარტყას!



გუსტავა



პაპას ბოხობი

პაპას იანნიშვილი

ნახატები კ. მახარაძისა

ჩვენი სოფელი ტყის პირას მდებარეობს.

ზამთრობით გზაზე იშვიათად თუ გამოჩნდება ვინმე, ზაფხულობით კი მოდიან და მოდიან ურწმები და ავტომობილები შეშის საზიდად. ამოიტანენ ჩვენი რაიონის კოლმეურნეები ვალესოლ-გაპარიალებულ კულებს, ხერხებს, უროგებსა და რკინის სოლებს. ვაიყოლებენ ტყისმცველს, მიადგებიან დიდდიდ წიფლებს. ტყისმცველი იტყვის: ესა და ეს ხე მოჭერიეთ, და ისინიც აახმურებენ კულებს.

ზაფხულობით სტუმარი არ გველევია. ხან ვარდისუბნელები გვეწვევიან — აი, იმ სოფლიდან, რომელიც ჩვენი აიგიდან ხელისუფლისოდნა ჩანს, ხან ოქოაზნელები, ხან კრანოგორკელი რუსები და ხანაც ყარაჯალელი თათრები. საქონელს შესესვენებენ, თვითონაც დაისვენებენ, თუ დაუღამდათ — ჩვენთან გაათვენს და მერე დიდად მაღლივრები წაივლენ.

პაპაჩემს ყველა იცნობს. მოუახლოვდებიან თუ არა ჩვენს სახლს, შორიდანვე დაიძახებენ:

— პაი, დათიკო, დათიკო!
პაპა აივანზე გავა, ვახდევს. — კოტა თვალთ აკლია და ამიტომ სტუმარს პირველად ვერა სცნობს. მერე ჩახუსხუსდება კიბეზე, გაეგებება, ურწმს ეხო-ში შემოაბარუნებს, ხარკემეს გამოაშვებინებს და სტუმარს მაღლა მოიპატოვებს.

მხოლოდ ჩემი სამი წლის დათოა ბევრისთვის უცნობი. ის სულ დათიკო პაპას დასდევს კელი-კულ. პაპასაც უხარია და აცნობს:

— ეს ჩემი დათოა, ჩემი საკუთარი ბიჭი, ენაცუალოს პაპა. როგორი ბიჭია, პა? გლემურჯია, გლემურჯა!
გლემურჯი — ყოჩაღს, უშიშარს, ლონიერს ნიშნავს.

ამ რამდენიმე დღის წინ ყარაჯალელი მუსტაფა პაპა გვეწვია თავისი კრი-

ქინა ურმით. მუსტაფა პაპა დათიკო პაპას ხნისა. უღელში ორი ბეხრეკი კამეჩი ჰყავს შებმული, თვითონ კოფოზეა წამოსკუბებული და ხან ერთ კამეჩს გადაუხაპუნებს სახრეს, ხან მერგრეს. თან თავისებურად დასკყივის:

— ჰაჯომუშ! ჰაჯომუშ!

თავზეც თეთრი ბოხობი ქუდი ჰხურავს—ახალი, გრძელმეწვიანი თეთრი ბოხობი ქუდი... მოდიან და მოხმაურობენ ისა და მისი ურემი:

— ჭრ-ჭრ-ჭრ! ჰაჯომუშ! ჰაჯომუშ!

მუსტაფა პაპას შორიდან არ დაუძახია. ურმიდან ჩამოხტა, ალყაფი გააღო და კამეჩებს შინაურულად შემოუძღვა ჩვენს ეზოში. ის პაპაჩემის დიდი ხნის ყონალი—ძმაცაცა.

დათიკო პაპა წისკელიში იყო, მე და დათო ჩავეგებეთ. მე ხელი ჩამოვართვი, მოვიკითხე—როგორა ბრძანდები-მეთქი, უღლიდან კამეჩების გამოშვება ვუშვებ. დათო კი ფეხზე მეკეროდა და მოღუშული შეჰყურებდა. მუსტაფა პაპას დათო სულ პატარა ჰყავდა ნანახი. ახლა რომ დაინახა, გაუკვირდა:

— რამოდენა ბიჭი გამხდარა, კასო?! წყალსაც მოგვიბრუნინებს, რომ რამე იღოს! ზალიან დასხა.

მუსტაფა პაპა თათარია და ქართული ცოტა უჭირს.

— მოგვიბრუნინებს, რატომაც ვერ მოგვიბრუნინებს! აბა, დათო!

დათოსაც ეს უნდოდა. გაიქცა და მალე სავეს დოქითა და ქიქით გამოჩნდა, დოქი ფეხებში ებღანდებოდა, აცაბაცა მოდიოდა და წყალს მოაჰყაპუნებდა.

— აი, გაიზარდე დიდი კასი!—დაიძახა მუსტაფა პაპამ და დოქი და ქიქა ჩამოართვა.—რა ბიჭი ღოფილა, კასო, რა ბიჭი!

ქიქა გაავსო და სულმოუთქმელად დაცლა, კიდევ გაავსო და კიდევ დაცლა. მერე ქიქა დათოს დაუბრუნა, ბოხობი მოიხადა, კიბის საფეხურზე



დასკუბა, თვითონ წაიღუნა და დოქი მოტვლებილ თავზე წამოიპირქვავა.

დათო აღტაცებული იყო. პირდაღებული ხან მუსტაფა პაპას შეჰყურებდა, ხან იმის ბოხობს გადახედავდა.

დოქი დაიცალა, მუსტაფა პაპამ წვერულვაში ჩამოიწურა, ბოხობი ისევ თავზე წამოიბოხა და გაიცინა—თეთრი კბილები გააკრიალა.

დათოსაც სიცილი აუტყდა. ხელისგულებს ერთმანეთზე უსვამდა, ფეხებს აბაკუნებდა.

მუსტაფა პაპა შინ ავიპატივით, სუფრა გავშალეთ და მივიწვიეთ. მუსტაფა პაპამ ბოხობი ტახტზე დადო. ბოხობიც კოხტად აყვანილ თივის ბულულივით დადგა.

დათო ბოხობს მიუახლოვდა და ხან ერთ ფეხზე დადგებოდა, ხან მერგრეხე-მივხედი, რომ ბოხობი მოეწონა.

როცა მზე გადიხარა, როცა კამეჩებმა დაისვენეს, ხოლო მუსტაფა პაპა ტყეში წასასვლელად გაემზადა და ბოხობი დაიხურა, დათო იატაკზე ჩაჯდა, აღრიალდა და ფეხების ქნევა დაიწყო.

— რა იყო, რა მოგივიდა?—მივცვივდით ჩვენ.



— რას ამბობთ! ოღონდ ყმაზვილძე
გაიხაროს და ფეშქეშ! ქული რა არის!
ფეშქეშ!

ჩვენ პაპა დათიკოს ქული გამოვუ-
ტანეთ, მოირგო თავზე, მერე კამეჩები
შეება, ურემზე ავიდა და მზიარულად
გაუჯავრდა:

— პაჯომეშ! პაჯომეშ!
ცოტა მანძილზე რომ გაგვცდა, მო-
გვიბრუნდა:

— აბა, ყმაზვილი არ გამოიჯავროთ!—
და ღონივრად გადაუშუშელა იფნის
სახრე კამეჩებს.

ურემი ნელ-ნელა, კრიკინით ადიო-
და აღმართზე...

დათო კი ეზოდან ეზოში გადარბო-
და, რომ ბიჭებისათვის თავისი ახალი
ვეებერთელა ბოხოხი ეჩვენებინა...

— რათა ტირის, კასო?—მოვიდა
მუსტაფა პაპაც.

— ეგეთი ქული მინდა!—წამოიძახა
დათომ სლუკუნით და თითი მუსტაფა
პაპას ბოხოხისკენ გაიშვირა.

ჩვენ ტუქსეა დავუწყეთ, დათო კი
ღრიალებდა:

— ეგეთი ქული მინდა, მუსტაფა პა-
პას ქული მინდა...

დედამ ორიოდეჯერ მიარტყა:

— აი, ეგეთი ქული, აი, აი!..

— მაისათ, ხალხნო!—დაიძახა მუსტა-
ფა პაპამ.—ამისთვის როგორ ვატირებთ
ყმაზვილსა!

ბოხოხი მოიხადა და დათოს დაახუ-
რა:

— აპა, ფეშქეშ, შენი იყოს!

გვინდოდა მოგვეხადა, მაგრამ დათომ
ხელები ზედ შემოიწყო და აკივლდა.

რადას ვიზამდით! ისევ მუსტაფა პა-
პას დავუწყეთ მუდარა:

— გვაპატიეთ... მოიწყენს და, ტყი-
დან რომ ჩამოივლი, დაგიბრუნებთ.

მუსტაფა პაპას სიცილად არ ჰყოფ-
ნიდა ეს ამბავი:





— ერთი მითხარ, კეთილად,
ლურჯთვალეობა იაკ,
სემი კონტა ჩიკორი
არსად შეგხვედრიო?
— არ მინახავს, დათუნე,
რა ჟენა, ვწუხვარ ძალიან,
მავრამ დავკმარები,
ახლა უკვე მცალია.—

ჩიკორი — ბზრიადა

— ხემა კარგა ბზრიადა,
დატრიალდი აბა,
ისტუნე და იცეკვე,
დაუარე სწრაფად! —
დათუნამ ბზრიადა,
ბზრირ... აბბზრიადა,
ვადუბირა მითხარსი,
მარდად დატრიალდა.
და ჩიკორმა იმდენი
ისტუნა — იტრიალდა,
დათუნას უცნად
დაგვარგა ბზრიადა!



წამოკვეები, ბელიკა,
და მოვებნით ერთად,
სადმე, ხლოს იქნება,
არ მომიკვდექ დედა.
შევეკითხით ჩიტუნს
კულეკითელას, ცქრიალას,
სადმე ხომ არ უნახავს
ას ზატარა ბზრიადა?! —




უცბად ჩიტმა მიუვო,
 ხმა რომ ჰქონდა წვრილად:
 — არსად არ დამინახეს
 შენი ურზი ბზრილად.
 ძაგვამ დაგვხმარებით,
 სულაც არ შეხარება,
 ბევრნი როცა ვიქნებით
 ვერსად დაგვეძალებს.



7582

— ფისო, გვითხარ, ჩიკორი
 არ გინახავს სადმე?
 ვერსად ვერ გვიპოვინა,
 გაგვიჩინა საქმე.—
 კატამ თავი დასხარა
 და წარმოთქვა ნახად:
 მეც დაგვხმარებითო,—
 ასე შესთავაზა.


ემებეს და ემებეს,
 ვერსად შესვდნენ მნახველს,
 მათ საშველად სახანძრო
 რაზმი დაინახეს.
 კიბესე შემოსკუნდნენ
 ოთხივენი ერთად,






წითელ ბურთს გადასძახეს
სმაშეწუებით, ერთხმად:
— ჰეი, ბურთო, კენაცვა,
ჩვენთან მოდი ძაღლე,
ჩიკორის შომებნაში
ჩქარა დაგვემარე.—
ბურთმა ეს რომ ვაივო,
იხარხარა დიდხანს:—

— თქვენ რა,
ჩიკორს დეჟებთ?
სადაც არის, ვითხრათ?!
შენს ჩანთაში ბრძანდება,
თათი ჩაჭყავ, ნახე,
როცა იქ მოკვალათდა,
მე თვით დავინახე.—
დათუნამ ჩანთაში
სწრაფად ჩაჭეო თათი,
ჩიკორს უთხრა:
— სადა ხარ,
ძკლავდა შენი დარდი.



ღღარ, ღღარ გაბეღო,
დაძმებლო კიდევ,
მოვიარეთ ტყე-ველი,
მთები, კიდეით-კიდე. —
აძოვილო ჩანთიდან
დათუნია ბზრიალა,
კულმოსულმა მათრახის
ცემით დაატრიალა.
ჟველას უთხრა მადლობა, —
წითელ ბურთს და იას,



სასხნმრო რაჟმს, ფისუნას
და ჭრედ ჩიტუნისას, —
ვინც ჩიკორის ძებნაში
დათოს დაეხმარა...

გაბუტული ბზრიალა
ტრიალებდა ჩქარა!

თარგმანი გერმანულიდან
ნახატები უურნალ „ბუმიდან“



36/221
38/163

ნახატი მ. გრიგოლიძისა

33/163

ქართული
ბავშვთათვის



მ ა ყ ვ ა დ ი

დაძწიფებულა მუჟვალა,
 ჩაშავებია თვალები,
 თაგს არსეგს, თითქოს გვიწვევდეს:
 შირთვით, გენაცვადებით!
 აი, მოსულა თამარი,
 კია და თედოც აქ არის.
 აშობენ:—ეს რა ვოფილა,
 მუჟვალაია თუ მუჟარი!—
 დანაურდნენ, შუმდეკ ჩამოსდნენ,
 სიცელ-კისკისი გამართეს.
 სახლშიც იმდენი წაიღეს,
 მლიგს მიანთეგდნენ კალათებს.

გივი ჭიჭინაძე

ყდაზე: „მელია და ყურძენი“. ნახატი ი. გუგუშვილისა

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კლუგია: ი. გრიგოლიძე, კ. გოგიაშვილი,
 მ. ყვავალა შრეველიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ი. სიხარულიძე, ნ. უნაფთოშვილი,
 შ. ცხალაძე (სამხატვრო რედაქტორი) ბაგრატიონი ოცდაამთერთმეტი წელი | ფასი 2 მან.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ

საბლიტბაში, ჟღაღვის მისამართი: თბილისი, პლუხაივის პარკი. 81, ტელ. 3-37-38. გამომც. შუკ. № 398, სტამბის შუკ. № 1803
 ტირაჟი 16000 № 00982 ჩულომწარიალია დასაგებდალ 19/VIII 1958 წ. წერალი დაბეჭდილია ლითონ-ბეჭდვით ბეჭდვის უბრაიკაში
 Д И Л А — ежемесячный детский журнал ЦК АКСМ Грузии и Республиканского совета организации юных пионеров им. В. И. Ленина
 № 10, октябрь 1958 г. Тбилиси, Пресн. Пыханова 91.